5-24

34(05)
5-24

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1930 წლის იანვრის 16.	№ 1 ვანყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 1. „სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების მიერ წარმოებული სამრეწველო მშენებლობის პროექტების დამტკიცების წესისათვის სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისაგან დამტკიცებული დებულების ა/კსფსრ-ში შეფარდების წესების თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ოქტომბრის 25-ის დადგენილების შეცვლის შესახებ.

მუხ. 2. სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადების მენარჩენეთა ქონების აწერისა, შეკვრისა და გაყიდვის წესების დამტკიცების შესახებ.

„ 3. ნედლეულის ბამბის თავის დროზე მოკრეფისა, დამზადებისა და ბამბის საწმენდ ქარხნებში მიზიდვისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

„ 4. სასოფლო ცეცხლ-სეისმო-მძლე მშენებლობის დაკრედიტების ფონდების შესახებ.

„ 5. სამუშე ბინათმშენებლობის კოოპერაციის მოწესრიგების შესახებ.

„ 6. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საწარმოთა შვიდსაათიან სამუშაო დღეზე გადამყვანი კომისიის შედგენილობის შეცვლის შესახებ.

დადგენილება № 205 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

1. „სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების მიერ წარმოებული სამრეწველო მშენებლობის პროექტების დამტკიცების წესისათვის სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისაგან დამტკიცებული დებულების ა/კსფსრ-ში შეფარდების წესების თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის ოქტომბრის 25-ის დადგენილების შეცვლის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების მიერ წარმოებული სამრეწველო მშენებლობის პროექტების დამტკიცების წესისათვის სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისაგან დამტკიცებული დებულების ა/კსფსრ-ში

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეფარდების წესების თაობაზე“ გამოცემულ ა/კსფსრ სახალხო კომისარიატ საბჭოს 1928 წ. ოქტომბრის 25-ს დადგენილებაში (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. 21 №-რი, მუხ. 250) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

1. მე-4 მუხლის „დ“ ლიტერის შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„შენიშვნა. ასლი ყველა დასკვნისა, თათბირის ოქმისა და დამტკიცების წარწერისა ამა მუხლში აღნიშნული პროექტების თაობაზე გაეგზავნება ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და ამერიკავკასიის სატეხნიკო-სამშენებლო კომიტეტს“.

2. მე-5 მუხლის „ა“ ლიტერში სიტყვების „რესპუბლიკანური სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო“-ს შემდეგ ჩაიწეროს სიტყვები „ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მეშვეობით“.

3. მე-5 მუხლის „დ“ ლიტერი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ამის შემდეგ რესპუბლიკანური სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო წარუდგენს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პროექტს სამ ცალად, რესპუბლიკანური სამშენებლო-სატეხნიკო კომისიის დასკვნიფურთ“.

4. მ-5 მუხლის „ე“ ლიტერი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო შეამოწმებს პროექტს ეკონომიური და ტეხნიკური მიზანშეწონილობის მხრით, რის შემდეგაც ან დამტკიცებს ან უარჰყოფს პროექტს როგორც მთლიანად, ისე ცალკეულ ნაწილებად“.

5. მე-5 მუხლის შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„შენიშვნა. უკეთუ პროექტის თაობაზე შეთანხმება მიღწეულ ვერ იქნა, შეუთანხმებლობა გადასაწყვეტად წარედგინება ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს“.

6. მე-6 მუხლის „ბ“ ლიტერი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) შემდეგ რესპუბლიკანური სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო წარუდგენს პროექტის სამ ცალს, რესპუბლიკანური სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის დასკვნიფურთ, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, რომელიც იძლევა დასკვნას პროექტის ეკონომიური და ტეხნიკური მიზანშეწონილობის თაობაზე და თავის დასკვნას ჰგზავნის სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში“.

7. მე-12 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„12. უკეთუ ამა წესების 1-ლ მუხლში აღნიშნული დებულების მე-6 მუხლის შენიშვნის თანახმად სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო მოითხოვენ საბოლოო პროექტის წარდგენას დასამტკიცებლად და აგრეთვე, უკეთუ საბოლოო პროექტი ისეა შედგენილი, რომ იგი დამტკიცებულ საესკიზო პროექტს რითიმე არ შეესაბამება,— საბოლოო პროექტი შეთანხმებულ და დამტკიცებულ უნდა იქნეს საესკიზო პროექტისათვის დადგენილი წესისამებრ“.

8. მე-14 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„14. უკიდურეს ვადებად პროექტების განხილვისათვის დაწესებულია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) სამშენებლო კონტროლის ადგილობრივ ორგანოებში (შრომისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების ორგანოებთან შეთანხმების ჩათვლით)—სამი კვირა;

ბ) იმ სამრეწველო საწარმოს ორგანოებში, რომელიც ამტკიცებს პროექტს (ლიტერ. „ა“-ში აღნიშნული შეთანხმების ჩათვლით)—ოთხი კვირა;

გ) რესპუბლიკანურ სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტში (შრომისა და ჯანმრთელობის კომისარიატების ორგანოებთან შეთანხმების ჩათვლით)—ერთი თვე;

დ) რესპუბლიკანურ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში (ლიტ. „გ“-ში აღნიშნული შეთანხმების ჩათვლით)—თვენახევარი;

ე) ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში—თვენახევარი.

შენიშვნა. აღნიშნული ვადები ითვლება განხილვისათვის ყველა საჭირო მასალის წარდგენის დღიდან. მოთხოვნა იმ მასალის წარდგენის შესახებ, რაც პროექტს აკლია, განცხადებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი კვირისა პროექტის მიღების შემდეგ. უკეთუ პროექტი იხილვება ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში, ვადა მისი დამტკიცებისათვის თვლება დღიდან სსრკ-ის სახალხო მეურნობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ სამეცნიერო-სატეხნიკო სამმართველოს დასკვნის მიღებისა“.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1929 წ. ოქტომბრის 17.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 204 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

2. სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადების მენარჩენეთა ქონების აწერისა, შეკვრისა და გაყიდვის წესების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს შემდეგი წესები სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადების მენარჩენეთა ქონების აწერისა, შეკვრისა და გაყიდვის შესახებ.

2. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. აპრილის 15-ის დადგენილება (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-4 №-რი, მუხ. 638) გაუქმებულ იქნეს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1929 წ. ნოემბრის 21.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წ ე ს ე ბ ი

სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადების მენარჩენეთა ქონების აწერისა, შეკვრისა და გაყიდვის შესახებ.

1. ამა წესების მოქმედება ვრცელდება ყველა იმ სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადის ნარჩენებზე, რომლის ადმინისტრირებასაც ეწევიან სსრკ-ისა და მოკავშირე რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატები და მათი ორგანოები, და იმ არასაგადასახადო შემოსავალთა ნარჩენებზე, რაც ჩამოთვლილია სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. სექტემბრის 17-ის დადგენილებაში (სსრკ-ის კან. კრ. 1926 წ. 64 №-რი, მუხ. 482), აგრეთვე იმ გადასახადების ნარჩენებზე, რის ადმინისტრირებასაც ეწევიან სხვა უწყებათა ორგანოები, რამდენადაც ამ გადასახადების გადახდევინების წესები დადგენილი არ არის ცალკე, საკანონმდებლო წესით.

შენიშვნა. გადასახადად ამა წესებით იგულისხმება აგრეთვე გამოსაღები და ბაჟი.

2. კერძო პირთა და საწარმოთა ქონების აწერას, შეკვრას და საჯარო ვაჭრობით გაყიდვას, რეალიზაციას სამეურნეო საშუალებით და გაყიდვას კოოპერატიული ორგანიზაციების მეშვეობით აწარმოებენ:

ა) ყველა სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადისა და არა საგადასახადო შემოსავლისათვის, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა და წყლის გამოსაღების გამოკლებით,—გადასახადთა აგენტები ან სხვა, საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები, გადახდევინების თანაგანყოფილებათა გამგეების განკარგულებით, ხოლო იქ, სადაც ეს თანაგანყოფილებანი არ არსებობენ,—საოლქო საფინანსო განყოფილებათა და სამაზრო საფინანსო განყოფილებათა ქვე-განყოფილებებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების საფინანსო თანაგანყოფილებების გამგეების განკარგულებით, სარაიონო აღმ. კ-ტების ხელმძღვანელობით და მეთვალყურეობით.

შენიშვნა. იმ ადგილებში, სადაც ნარჩენთა გადახდევინების ცენტრალიზაცია გატარებული არ არის, ამა მუხლით გათვალისწინებულ გადახდევინების იძულებითს ღონისძიებათ მიიღებენ გადასახადთა ინსპექტორები და, მათი მინდობილობით, მათივე თანაშემწეები და გადასახადთა აგენტები.

ბ) ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა და წყლის გამოსაღებისათვის—ის პირები, ვინც საამისოდ უფლებამოსილ იქნება სარაიონო (არადარაიონებულ ადგილებში—თემისა, დაირისა და გავარაკის) აღმასრულებელი კომიტეტების მიერ—ამ უკანასკნელთა ხელმძღვანელობით და პასუხისმგებლობით.

3. სახელმწიფო, კოოპერატიული და პროფესიონალური ორგანიზაციებისა და მათი შენაერთების ქონებისა, აგრეთვე სახელმწიფო თუ კოოპერატიული კაპიტალის ორმოცდაათ პროცენტზე არა ნაკლები მონაწილეობით მომქმედი საა‌ქ‌ციო საზოგადოების ქონების აწერა, შეკვრა და საჯარო ვაჭრობით გაყიდვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალიზაცია სამეურნეო საშუალებით და კოოპერატიული ორგანიზაციების მეშვეობით გაყიდვა სწარმოებს საოლქო საფინანსო განყოფილებათა განსაკუთრებული დადგენილებით თვითეულ ცალკე შემთხვევაში, ხოლო არადარაიონებულ ადგილებში—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების დადგენილებით.

4. მენარჩენის ქონების შეკვრა მოხდება ისე, რომ შედგენილ იქნება ქონების აწერის აქტი და გამოეცხადება მენარჩენეს ან შემნახავს, უკეთუ შენახველად მენარჩენე არ დაინიშნება, ხელწერილის ჩამორთმევით, რომ, გადამხდევნები ორგანოს ნებადაურთველად, აკრძალულია აწერილი ქონების გასხვისება და შეკვრის ადგილიდან სხვა ადგილს გადატანა.

5. აწერის აქტი შედგენილ უნდა იქნეს მენარჩენისა და ერთი მოწმის თანადასწრებით; უკეთუ მენარჩენე არ დაესწრო, აწერის აქტი შედგენილ უნდა იქნეს მისი წარმომადგენლის ან მისივე ოჯახის რომელიმე ქმედობაუნარიანი წევრისა და ორი თანამოწმის თანადასწრებით; უმჯობესია თანამოწმედ იყვნენ იმ სახლის სამოურაოს წარმომადგენელი და ერთი მდგმური, სადაც მენარჩენე ცხოვრობს.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მენარჩენის ქონების აწერის დროს საჭიროა დაესწროს სასოფლო საბჭოს წევრი და ორი თანამოწმე იმ სოფლის მცხოვრებთაგან, სადაც მენარჩენე ცხოვრობს.

აწერის აქტის დედანი დაიტოვება საქმეში, ხოლო ასლი მიეცემა მენარჩენეს ხელმოწერით; უკეთუ მენარჩენე არ დაესწრო, ასლი გამოიკიდება იმ ადგილას, სადაც აწერილი ქონებაა. უკეთუ აწერილი ქონება შესანახად ჩაბარდება არა მენარჩენეს ან მისი ოჯახის წევრს, არამედ სხვა პირს აწერილობის ასლი მიეცემა ამ უკანასკნელსაც.

6. აწერის აქტში შეიტანება მენარჩენის კუთვნილი ნივთები, იმ ნივთების გამოკლებით, რაზედაც არ შეიძლება მიიქცეს გადახდევინება, გადასახადთა გადახდევინების—1925 წ. ოქტომბრის 2-ის—დებულების (სსრკ კან. კრ. 1925 წ. 70 №-რი, მუხ. 518) მე-18 მუხლის შესაბამისად, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მიერ გამოცემული იმ სპეციალური ნუსხების მიხედვით, სადაც აღნიშნულია ის ქონება, რის აწერა და გაყიდვა არ შეიძლება.

7. ამწერს უფლება აქვს შევიდეს ყველა იმ სადგომში, რომელიც უპირავს მენარჩენეს ან მის ქონებას და გასინჯოს მენარჩენის ქონების ყველა საცავი (ზანდუკები, კარადები, კამოდები და სხვ.), ხოლო პირადად მენარჩენე არ უნდა გაჩხრიკოს.

8. უკეთუ მენარჩენე უარს იტყვის ამწერის შეშვებაზე იმ სადგომში, რომელიც მას თუ მის ქონებას უპირავს, ან გააღოს ქონების საცავები, მიწვეულ უნდა იქნეს მილიციის წარმომადგენელი და მისი და ორი თანამოწმის თანადასწრებით ამწერი შეადგენს აქტს მენარჩენის უარის თაობაზე, გახსნის სადგომს, ქონების საცავებს და მოახდენს აღწერას.

9. მენარჩენის ქონება ყველა გადასახადისათვის, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გარდა, აიწერება ისეთი რაოდენობით, რაც საკმარისი იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვედრი ნარჩენისა და საურავის თანხის დასაფარავად; ამ თანხას დაერიცხება აგრეთვე რვა პროცენტი გადახდევინების ხარჯის გასასტუმრებლად.

შენიშვნა 1. მენარჩენის ქონება სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა-სათვის აიწერება ისეთი რაოდენობით, რაც საკმარისი იქნება ნარჩენისა და საურავის დასაფარავად, ხოლო სათანადო შემთხვევაში—ჯარიმის და-საფარავადაც; რაც შეხება გადახდევინების ხარჯების დაფარვისათვის საჭირო რვა პროცენტს, იგი არ დაირიცხება.

შენიშვნა 2. რვა პროცენტის დარიცხვა მოხდება იმ შემთხვევაშიაც, უკეთუ მენარჩენემ ნებაყოფლობით გადაიხადა თავისი ხვედრი ნარჩენი საჯარო ვაჭრობამდე, ხოლო უკეთუ აწერის აქტი უკვე შედგენილი იყო.

მენარჩენთა ქონების რეალიზაციის ყველა ხარჯი დაიფარება რვა პროცენტიანი დანარიცხებისაგან შექმნილი ფონდიდან, რაც ცენტრალიზებულ უნდა იქნეს საოლქო საფინანსო განყოფილებაში (ხოლო არადარაიონებულ ადგილს—სამაზრო საფინანსო განყოფილებაში).

რვაპროცენტიანი დანარიცხების ხარჯვა სწარმოებს მარტოოდენ ნარჩენთა გადახდევინების ოპერაციებისათვის.

10. აწერის აქტის შედგენის დროს მხედველობაში მიიღება მენარჩენის განცხადება იმის თაობაზე, თუ პირველ რიგში რა საგნებზე სურს მას მიიქცეს გადახდევინება, უკეთუ ეს განცხადება არ არღვევს ხაზინის ინტერესებს ანაწერი ქონების წარმატებით გაყიდვის გარანტიის მხრით.

11. უკეთუ მესამე პირი განაცხადებს, რომ აწერის აქტში შესატანი ქონება მას ეკუთვნის, ეს განცხადება, მისი დამადასტურებელი დოკუმენტები და ამწერის დასკვნა განცხადების შინაარსის გამო დაერთვის აღწერილობას. საკითხი ქონების კუთვნილების თაობაზე გადაწყდება სასამართლო წესით.

12. აწერასთან ერთად ამწერი მოახდენს აწერილი ქონების შეფასებას საშუალო საბაზრო ფასების მიხედვით, რაც არსებობს იმ რაიონში, სადაც აწერილი ქონებაა, ოც პროცენტამდე დაკლებით. აწერის აქტში შესატანი თვითეული საგანი შეფასდება ცალკე.

13. უკეთუ მენარჩენე თანახმა არ არის შეფასებისა და იგი მოითხოვს ხელახალ შეფასებას, ეს ხელახალი შეფასება მოხდება ექსპერტის მეშვეობით, რომელსაც, აწერის მოთხოვნით, წარავლენს სათანადო სახელმწიფო დაწესებულება ან კოოპერატიული ორგანიზაცია. ასეთ შემთხვევაში გასამრჯელო ექსპერტს მიეცემა მენარჩენის ხარჯზე.

14 განსაკუთრებულად ფასიანი, იშვიათი და ჩვეულებრივი საბაზრო ფასის არმქონე საგნების შესაფასებლად შეიძლება მიწვეულ იქნენ, რვაპროცენტიანი დანარიცხებიდან ხარჯის გაღებით, მცოდნე პირები—ექსპერტები.

15. თვითეულ აწერილ ნივთს ქონების აშწერ-შემკვრელი მიაბამს პლომბს ან ლუქის ბეჭდის ტვიფარს კარტონზე და აღნიშნავს ბეჭდის ტვიფარზე ნივთის რიგობითის ნომერს აწერის აქტის მიხედვით.

16. შენობები შეფასდება უწყებულ ადგილას არსებული ნასყიდობის ფასების მიხედვით და დაზღვევისა და შენობათა გადასახადისათვის შეფასების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. ქონების აწერის აქტი უნდა შეიცავდეს:

ა) მენარჩენის გვარს, სახელს, მამის სახელს და საცხოვრებელ ადგილს;

ბ) გადასახადის სახელწოდებას და საგადასახადო პერიოდს, შეწერილი გადასახადისა, საურავისა და რეპროცენტიანი დანარიცხის თანხების ცალ-ცალკე აღნიშვნით;

გ) აწერილობის შედგენის დროსა და ადგილს;

დ) აწერის აქტის შემდგენელისა, სხვა თანადამსწრე თანამდებობის პირთა, თანამოწმეთა და ექსპერტთა თანამდებობას, გვარს, სახელს, მამის სახელს და და მისამართს;

ე) თვითეული აწერილი საგნის სახელწოდებას და აღწერილობას,—რიცხვის ან წონისა, თვისების და მარკისა და თვითეულის—ცალკე და ყველისი—ერთად შეფასების თანხის აღნიშვნით;

ვ) შემნახველის გვარს, სახელს, მამის სახელს და მისამართს და ადგილს, სადაც შესანახად გადაცემული ქონებაა;

ზ) მხარეთა საჩივრებს და შენიშვნებს;

თ) მენარჩენისა, თანამოწმეებისა, აწერის დროს დამსწრე თანამდებობის პირებისა და ექსპერტების ხელმონაწერს;

ი) შემნახველის ხელმონაწერს, რომ შესანახად მიიღო აწერილი ქონება;

კ) ამწერის ხელმონაწერს.

18. კერძო პირისა და საწარმოს აწერილი ქონება შესანახად გადაეცემა მენარჩენეს. უკეთუ მენარჩენე უარს იტყვის შენახვაზე, ან იგი არ დაესწრო აწერას, ან და არის ისეთი გარემოება, რომ აწერილი ქონების შენახვა მენარჩენეს არ მიენდობა, ეს ქონება გადაიტანება იმ ორგანოში, რომლის განკარგულებითაც მოხდა აწერა, ან ჩაბარდება შესანახად სხვა რომელსამე პირს აწერის აქტის შემდგენელის დანიშვნით.

იმ თანამდებობის პირს და ორგანოს, რომელიც ამტკიცებს აწერილობას, შეუძლიან შესცვალოს აწერის დროს დანიშნული შემნახველი სხვა პირად.

19. უკეთუ შემნახველად მენარჩენე ან მისი ოჯახის წევრი არ არის დანიშნული, შემნახველი მიიღებს გასამრჯელოს შენახვისათვის; ეს გასამრჯელო გაიცემა პროცენტული დანარიცხებიდან შემდეგი რაოდენობით:

ა) არა უმეტეს, ვიდრე ერთი თვის განმავლობაში შენახვისათვის:

შეფასების თანხის პირველ 50 მანეთზე—ამ თანხის 5%-ი;

51 მანეთიდან 250 მანეთამდე—2%-ი;

251 მანეთიდან და მეტზე—1%-ი;

ბ) ერთ თვეზე მეტი შენახვისათვის მიემატება 0,25% იმ თანხისა, რაც შემნახველს ერგება შენახვის პირველი თვისათვის;

გ) ცხოველის შენახვისათვის სასყიდელი გადიდებულ უნდა იქნეს ლიტ. „ა“ თუ „ბ“ თანახმად მისაცემი თანხის ორმოცდაათი პროცენტით.

უკეთუ ქონების შენახვისათვის საჭირო იქნება რაიმე ხარჯი, მაგალითად მცველის დაქირავება, განსაკუთრებული სადგომი, ცხოველის კვება, ქონების გადატანა და სხვ., ეს ხარჯი ცალკე უნდა იქნეს ანაზღაურებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. ამწერი განუმარტავს შემნახველს მის მოვალეობას შენახვისას და პასუხისმგებლობას გადაცემული ქონების გაფლანგვისა და შეცვლისათვის (პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით და ზარალის გადახდევინებით).

შემნახველი ქონების მიღებაზე ხელს მოაწერს აწერის აქტს, რომლის ასლიც მას პირადად გადაეცემა.

21. უკეთუ აწერის აქტის რეალურად შემოწმების დროს აღმოჩნდება, რომ ქონება მთლად ან ნაწილობრივ გაფლანგულია, შეცვლილია, გაუვარგისებულია ან განადგურებულია, შემმოწმებელი თანამშრომელი შედგენს ამის შესახებ ორ ცალად განსაკუთრებულ აქტს, რომელშიაც დაწვრილებით ჩამოსთვლის ყველა გაფლანგულ, შეცვლილ, გაუვარგისებულ ან განადგურებულ საგანს და ყველა იმ გარემოებას, რაც თან სდევდა გაფლანგვას, და აღნიშნავს შემნახველთან ერთად გაფლანგვაში დამნაშავე სხვა პირებს. აქტის დედანი გაეგზავნება პროკურორს, ხოლო მეორე ცალი ინახება გადახდევინების საქმეში. ამასთანავე აქტის შემდგენელი თანამშრომელი მოახსენებს ყოველივე ამას იმ ორგანოს, რომელიც აწერილობას ამტკიცებს.

22. უკეთუ მენარჩენე, არა უგვიანეს სამი დღისა აწერის აქტის შედგენიდან, არ გადაიხდის ნარჩენს და გადახდევინების ხარჯების დასაფარავად დარიცხულ რვა პროცენტს, ამწერი წარუდგენს აწერის აქტს დასამტკიცებლად:

ა) უკეთუ აწერილია და შეკრული კერძო პირისა და საწარმოს ქონება—გადახდევინების თანაგანყოფილების გამგეს ან მის მენაცვლე თანამდებობის პირს, ხოლო იმ ადგილას, სადაც ნარჩენის გადახდევინება ცენტრალიზებული არ არის,—გასახადთა ინსპექტორს;

ბ) უკეთუ აწერილია და შეკრული სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა და წყლის გამოსაღების მენარჩენის ქონება—სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს, ხოლო არადარაიონებულ ადგილებში—თემისა, დაირისა და გავარაკის აღმასრულებელ კომიტეტს;

გ) უკეთუ აწერილია და შეკრული სახელმწიფო, კოოპერატიული და პროფესიონალური ორგანიზაციისა ან მათი შენაერთისა, აგრეთვე სახელმწიფო ან კოოპერატიული კაპიტალის უპირატესი მონაწილეობით მომქმედი სააქციო საზოგადოების ქონება,—საოლქო საფინანსო განყოფილების გამგეს, ხოლო არადარაიონებულ ადგილებში—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

23. საოლქო საფინანსო განყოფილების გამგე, გადახდევინების თანაგანყოფილების გამგე და სარაიონო (თემისა, დაირისა და გავარაკის) აღმასრულებელი კომიტეტი, ხოლო შესაფერ შემთხვევაში—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატი, სამი დღის განმავლობაში აწერის აქტის მიღებიდან, განიხილავს აწერის აქტს და გამოიტანს დადგენილებას, რომლითაც ან დაამტკიცებს აწერის აქტს მთლად თუ ნაწილობრივ და გასცემს ნებართვას აწერილი ქონების გაყიდვისათვის ან, უკეთუ აღმოჩენილ იქნა შეუსაბამობა, გააუქმებს აწერის აქტს და გასცემს სათანადო დირექტივებს გადახდევინების შემდგომი წარმართვისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

24. 23 მუხლში აღნიშნული დადგენილება დაუყოვნებლივ ეცნობება ქონებრივ ამწერს სათანადო შესრულებისათვის და იმისათვისაც, რათა მან, უკეთუ მენარჩენეს აწერის გამო საჩივარი აქვს განცხადებული, აცნობოს ამ უკანასკნელს, ხელწერილის ჩამორთმევით, რომ აწერის აქტი დამტკიცებულია.

25. შვიდი დღის ვადაზე, მენარჩენისათვის 24 მუხლში აღნიშნული შეტყობინების ჩაბარების დღიდან, მენარჩენეს შეუძლიან განასაჩიროს დამტკიცებული აწერის აქტი გადასახადთა გადახდევინების 1925 წ. ოქტომბრის 2-ის დებულების 32 მუხ. წესისამებრ.

26. არა უგვიანეს სამი დღისა იმ დროიდან, რაც მიღებულ იქნება შეტყობინება, რომლითაც საბოლოოდ ნებადართულია აწერილი ქონების გაყიდვა, აგრეთვე რაც ძალაში შევა აწერის აქტის დამმტკიცებელი თანამდებობის პირისა და ორგანოს დადგენილება, რომელიც განსაჩივრებული არ არის,—გადასახადების აგენტი ან საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირი დანიშნავს აწერილი ქონების გაყიდვის დღეს და ადგილს.

27. კერძო პირისა და საწარმოს აწერილი ქონების შეკვრასა და გაყიდვას შორის უნდა გაიაროს არა ნაკლებ ერთი კვირისა და არა უმეტეს ოთხი კვირისა, ხოლო სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციისა და სახელმწიფო ან კოოპერატიული კაპიტალის უპირატესი მონაწილეობით მომქმედი სააქციო საზოგადოების ქონების შეკვრასა და გაყიდვას შორის უნდა გაიაროს არა ნაკლებ ორი კვირისა და არა უმეტეს ორი თვისა.

ამ წესის გამონაკლისი შეიძლება მალფუჭებადი საგნებისათვის, რომელთა რეალიზაციაც, აწერის აქტის დამმტკიცებელი ორგანოს და თანამდებობის პირის განსაკუთრებული დადგენილებით, მოხდება დაუყოვნებლივ, აწერის აქტის დამტკიცებისთანავე, რისთვისაც ეს საგნები გადაეცემა კოოპერატიულ ორგანიზაციებს ან გაიყიდება სამეურნეო წესით.

28. გადასახადების შეუტანლობისათვის აწერილი საფონდო ფასეულობა (საპროცენტო და სადივიდენდო ქაღალდები) საჯარო ვაჭრობით არ გაიყიდება და საფინანსო განყოფილება გადასცემს ამ ფასეულობას საფონდო ბირჟის (საქონლის ბირჟის საფონდო განყოფილების) მაკლერს, ხოლო უკეთუ ქონების გაყიდვის ადგილს სათანადო ბირჟა არ არსებობს,—სახელმწიფო ბანკის უახლოეს დაწესებულებას. სახელმწიფო ბანკის დაწესებულება გაჰყიდის ან თითონ შეიძენს მისთვის გასაყიდად გადაცემულ საფონდო ფასეულობას არსებული ოფიციალური კურსის მიხედვით.

29. გადასახადის შეუტანლობისათვის აწერილი პურეული პროდუქტი საჯარო ვაჭრობით არ გაიყიდება და საფინანსო ორგანო გადასცემს მას პურის დამმზადებელ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციას ანგარიშის ნაღდი გასწორებით სადამზადებლო ფასად, რაც პროდუქტის გადაცემის დღეს უწყებულ ადგილას არსებობს.

30. გადასახადის შეუტანლობისათვის აწერილი ტყავეულობის ნედლეული საჯარო ვაჭრობით არ გაიყიდება და მას საფინანსო ორგანო გადასცემს ნორმირებულ ფასად ტყავის სინდიკატის სანედლეულო საწყობს ანგარიშის ნაღდი გასწორებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

31. გადასახადის შეუტანლობისათვის აწერილი ისეთი საქონელი, რომლის ფასიც ნორმირებულია ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ (დაწესებულია საგასაცემო და საეტიკეტო ფასები), საჯარო ვაჭრობით არ გაიყიდება.

აღნიშნული საქონელი სარეალიზაციოდ გადაეცემა კოოპერატიულ ორგანიზაციებს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილ ფასებად ათი პროცენტის დაკლებით გასაყიდი საქონლის რეალიზაციით გამოწვეული საორგანიზაციო ხარჯების ასანაზღაურებლად.

უკეთუ დეფიკიანი საქონლის რეალიზაცია ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილ ფასებად, ათი პროცენტის დაკლებით, მოუხერხებელი იქნება, ეს საქონელი შეიძლება გადაეცეს კოოპერატიულ ორგანიზაციას, საოლქო საფინანსო განყოფილების ნებართვის თანახმად, ამ უკანასკნელის შეფასებით და ათ პროცენტზე მეტი მონაკლებით.

კოოპერატიული ორგანიზაციისათვის გადასაცემი საქონლის საფუთავ და გადაზიდვის ხარჯებს, გადაცემის გაფორმების შემდეგ, გასწევს კოოპერატიული ორგანიზაცია.

გადასაცემი საქონლის ღირებულობას კოოპერატიული ორგანიზაცია შეიტანს საქონლის გადაცემის გაფორმებისას.

განსაკუთრებულ შემთხვევაში გადასაცემი საქონლის ღირებულობის გადახდის ვადა შეიძლება განაწილებულ იქნეს საფინანსო განყოფილების მიერ ვადით ორ თვემდე, თამასუქის გარანტიით.

32. კოოპერატიულ ორგანიზაციას საქონელს გადასცემს სათანადო საფინანსო განყოფილების მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირი ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის საადმინისტრაციო განყოფილების წარმომადგენლის თანადასწრებით.

გადაცემისათვის შედგენილ იქნება განსაკუთრებული აქტი, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა) როდის და სად მოხდა გადაცემა;

ბ) მენარჩენის გვარს, სახელს და მამის სახელს;

გ) საქონლის გადამცემი პირისა და მიმღები პირის და აგრეთვე საადმინისტრაციო განყოფილების წარმომადგენლის თანამდებობას, გვარს, სახელს, მამის სახელს და მისამართს;

დ) როდის არის შედგენილი და ვისგან არის დამტკიცებული აწერის აქტი;

ე) გადასაცემი საქონლის ნომრებს აწერილობის მიხედვით და ამ საქონლის წონას, საეტიკეტო ფასს, მონაკლების პროცენტს, ფასს დაკლების შემდეგ და მთლად გადასაცემი საქონლის ღირებულობის თანხას;

ვ) აღნიშვნას კოოპერატიული ორგანიზაციის მიერ საქონლის ღირებულობის გადახდის თაობაზე და ამა მუხლის ლიტ. „გ“ აღნიშნულ პირთა ხელმონაწერს.

33. კოოპერატიული ორგანიზაციების მეშვეობით გასაყიდი არანორმირებულ ფასიანი საქონლის სიას (გადასახადთა გადახდევინების—1925 წ. ოქტომბრის 2-ის—დებულების 25² მუხ.—სსრკ კან. კრ. 1929 წ. 25 №-რი, მუხ. 216) და გაყიდვის პირობებს დაადგენს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა/ესფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან და სამომხმარებლო კოოპერატივების ამიერკავკასიის კავშირთან შეთანხმებით.

34. აწერილი ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვა სწარმოებს შემდგი პირობების შესრულებით:

ის პირი, რომელსაც დაკისრებული აქვს ვაჭრობის წარმოება, მოახდენს, არა უგვიანეს სამი დღისა ვაჭრობამდე, პუბლიკაციას ვაჭრობის დღისა და ადადგილის თაობაზე ან ადგილობრივ ოფიციალურ გამოცემაში, ან სათანადო განცხადების გამოკვრით იმ ადგილს, სადაც ვაჭრობაა დანიშნული (აუცილებლად) და აგრეთვე სხვა ადგილს, სადაც მოსახლეობა უფრო მეტად იყრის თავს—გადასახათთა ინსპექტორების გადახდევინების თანგანყოფილებებისა და სარაიონო (სათემო, სადაირო, საგავარაკო) აღმასრულებელი კომიტეტების კანცელარიებში და აუცილებლად იმ ადგილის სასოფლო საბჭოში, სადაც სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მენარჩენე იმყოფება; ამის გარდა, ზემოაღნიშნული პირი მიიღებს სხვა ღონისძიებებსაც, რაც, ადგილობრივი პირობების მიხედვით, უზრუნველჰყოფს, რომ მოსახლეობას ფართოდ ეცნობოს დანიშნული საჯარო ვაჭრობა.

35. ვაჭრობის დღეს მსურველნი მიიშვებიან გასაყიდი საგნების გასასინჯავად. აწერილი შენობებისა და ნარგავების (ბაღი, ბოსტანი და სხვ.) გასინჯვა ნებადართულ უნდა იქნეს სამი დღით ადრე ვაჭრობამდე.

36. შენობის ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა წარადგინოს ხელწერილი იმის თაობაზე, რომ არ არსებობს კანონიერი დაბრკოლება გასაყიდად დანიშნული შენობის მის მიერ შეძენისათვის.

37. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიანთ აღგილობრივი საოლქო და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და სასოფლო საბჭოების წევრებს, საფინანსო ორგანოების მოსამსახურეებს, ქონების აწერილობის შედგენაში მონაწილეობის მიმღებ პირებს, ამ ქონების გაყიდვის მწარმოებელ პირებს, მილიციის სამსახურში მყოფ პირებს და აგრეთვე ამა მუხლში ჩამოთვლილი პირების ოჯახის წევრებს.

38. გაყიდვა დაწყებულ უნდა იქნეს თორმეტი საათიდან და არ შეიძლება გაგრძელდეს იმავე დღის ოც საათზე გვიან.

39. უკეთუ თორმეტ საათზე ვაჭრობისათვის არავინ გამოცხადდა ან გამოცხადდა მხოლოდ ერთი მყიდველი, გაყიდვის მწარმოებელი პირი მოვალეა დაუცადოს მყიდველთა გამოცხადებას თოთხმეტ საათამდე.

40. ის ვაჭრობა, რაც ერთ დღეს დამთავრებულ ვერ იქნა, განიგრძობა შემდეგ დღეებშიაც—დამთავრებამდე.

41. ვაჭრობის დაწყების წინ ვაჭრობის მწარმოებელი პირი შეადარებს გასაყიდ ქონებას აწერილობას და, უკეთუ აღმოჩნდება, რომ ქონება გაფლანგულია, შეცვლილია, გაუთარგისებულია ან განადგურებულია, შედგენს სათანადო აქტს, რასაც წარმართავს დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მისაცემად.

42. გასაყიდი ქონების ნაწილის გაფლანგვისა, შეცვლისა, გაუთარგისების ან გაფუჭების აღმოჩენა არ შეაჩერებს ვაჭრობას. ასეთ შემთხვევაში გაიყიდება პირეანდელ მდგომარეობაში შენახული ქონება, ხოლო შეცვლილი და გაუთარგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებული საგნები არ გაიყიდება და შეინახება ნივთიერი საბუთის სახით სასამართლო პროცესის დამთავრებამდე.

43. ვაჭრობის წარმოების დროს ვაჭრობის მწარმოებელი პირი განაცხადებს თვითეული საგნის ფასს, რაც შეფასებით არის განსაზღვრული, და იკითხავს: „ვინ უმატებს". მყიდველთა მიერ შეძლეული ფასებს ვაჭრობის მწარმოებელი პირი სიტყვიერად აცხადებს, ვიდრე სართის ძლევა გრძელდება.

სართის ძლევის შეწყვეტის შემდეგ ვაჭრობის მწარმოებელი პირი წარმოსთქვამს სამჯერ სიტყვებს „არავინ უმატებს"; უკეთუ მესამეჯერ თქმის შემდეგ სართს არავინ განაცხადებს, სართი აღარ მიიღება და ვაჭრობა დამთავრებულად ითვლება.

44. გასაყიდი საგანი დარჩება იმას, ვინც უმეტესი ფასი შეაძლია.

45. უკეთუ ქონების ნაწილის გაყიდვით ისეთი თანხა შემოვიდა, რაც საკმარისია ნარჩენისა, რვაპროცენტიანი დანარიცხისა და სხვა განცხადებული პრეტენზიების დასაფარავად, დანარჩენი საგნების გაყიდვა შეწყდება და ეს საგნები პატრონს დაებრუნება.

46. ვაჭრობის მწარმოებელი პირი შეადგენს ვაჭრობის ფურცელს, რაშიაც აღინიშნება:

ა) ვინ, როდის და სად მოახდინა ვაჭრობა;

ბ) გასაყიდი ქონების ნომრები აწერილობით და მათი სახელწოდება მოკლედ;

გ) ვაჭრობაზე შეძლეული უმეტესი ფასი;

დ) მყიდველის გვარი, სახელი და მამის სახელი, რაც მყიდველმა საკუთარი ხელით უნდა ჩასწეროს, ხოლო, თუ მან წერა არ იცის,—მისი მინდობილობით,—სხვა პირმა;

ე) დაესწრო თუ არა გაყიდვას ქონების პატრონი ან მისი მენაცვლე პირი;

ვ) გასაყიდად დანიშნული ქონებიდან რა დარჩა გაუყიდველი.

47. მყიდველი დაუყოვნებლივ, ვაჭრობის გათავებისთანავე, შეიტანს არა ნაკლებ მის მიერ უკანასკნელად შეძლეული ფასის ერთი მეხუთედი ნაწილისა; დანარჩენი თანხა—იგი მოვალეა—გადაიხადოს ნაღდ ფულად არა უგვიანეს შემდეგი სამუშაო დღისა.

48. იმ პირის მიერ შეტანილი საწინდარი, რომელსაც გაყიდული შენობა დარჩა, ნასყიდობის თანხაში ჩაირიცხება; დანარჩენი თანხა მან უნდა გადაიხადოს არა უგვიანეს სამი დღისა ვაჭრობის დამთავრების დღიდან—უამდღეოდ. გასაყიდი შენობის ვაჭრობაში მონაწილე პირთ, რომლებმაც ნაკლები ფასი შეაძლიეს, საწინდარი ვაჭრობის გათავებისათანავე, დაუყონებლივ დაებრუნებათ.

49. უკეთუ მყიდველი დაწესებულ ვადაზე არ შეიტანს სრულად მის მიერ ვაჭრობაზე შეძლეულ თანხას, მის მიერვე ბეჭდ შეტანილი—ვაჭრობაზე შეძლეული უკანასკნელი ფასის ერთი მეხუთედი ნაწილი სახელმწიფო შემოსავალში გადაირიცხება.

მყიდველის მიერ შეტანილი ბე სახელმწიფო შემოსავალში გადაირიცხება იმ შემთხვევაშიაც, უკეთუ გამოაშკარავდა, რომ მყიდველი ვაჭრობაში მონაწილეობას უკანონოდ იღებდა ან მას უფლება არა ჰქონდა შენობა შეეძინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

50. გაყიდული საგნები მიეცემა მყიდველს მხოლოდ მას შემდეგ, უკეთუ იგი სრულად გადაიხდის ვაჭრობაზე შეძლეულ თანხას.

51. საჯარო ვაჭრობით შენობის მყიდველს მიეცემა საჯარო ვაჭრობის აქტის ასლი, რაც მას უფლებას აძლევს შენობის შეძენის თაობაზე სანოტარო აქტის შედგენისათვის.

52. ქონების გაყიდვით შემოსული თანხა განაწილდება იმ წესის დაცვით, რაც გათვალისწინებულია სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის თებერვლის 6-ის დადგენილებით (სსრკ კან. კრ. 1929 წ. მე-11 №-ი, მუხ. 98): ამასთანავე, პირველ რიგში უნდა დაიფაროს რვაპროცენტიანი დანარიცხი გადახდევინების ხარჯების გასასტუმრებლად.

53. უკეთუ მენარჩენე ვაჭრობის დაწყებამდე სრულად დაჰფარავს ნარჩენს, საურავს და გადახდევინების ხარჯების გასასტუმრებლად საჭირო რვაპროცენტიან დანარიცხს, ვაჭრობა მოისპობა და აწერილ ქონებას შეკვრა მოეხსნება.

შენიშვნა. უკეთუ უწყებულ მენარჩენეზე, რომელმაც ვაჭრობამდე გადაიხადა საგადასახადო ნარჩენი, ირიცხება სხვა, ამა წესების 52 მუხლში აღნიშნული პრეტენზიები, ამა წესებისაევ მე-2 მუხლში აღნიშნული ორგანო და თანამდებობის პირი გაუგზავნის სათანადო შეტყობინებას პრეტენზიების განმცხადებელ პირებს და აწერილ ქონებას შეკვრას არ მოხსნის.

54. უკეთუ ქონების გაყიდვით მიღებული თანხა საკმარისი არ არის ნარჩენისა, საურავისა და რვაპროცენტიანი დანარიცხის დასაფარავად, გამოანგარიშება იმისა, თუ რა ნაწილი იქნეს შეტანილი ხაზინის შემოსავალში ნარჩენისა და საურავის დასაფარავად, და რა ნაწილი მიიქცეს გადახდევინების ხარჯების დასაფარავად, უნდა მოხდეს შემდეგნაირად:

ქონების გაყიდვით მიღებული თანხა გაიყოფა ას-რვა ნაწილად; აქედან ასი ნაწილი მიიქცევა ნარჩენისა და საურავის დასაფარავად, ხოლო რვა ნაწილი—გადახდევინების ხარჯების დასაფარავად.

55. ქონების გაყიდვით მიღებული მოელი თანხა, ვაჭრობის შემდეგ, არა უგვიანეს მეორე დღისა, შეიტანება სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში ორი განცხადებით: ერთი განცხადება—იმ თანხის ხაზინის შემოსავლად ჩარიცხვის შესახებ, რაც დაწესებული ფორმის გამოანგარიშების ბლანკის მიხედვით მიიქცევა ნარჩენისა და საურავის დასაფარავად და მეორე განცხადება—რვაპროცენტიანი დანარიცხის სათანადო საფინანსო განყოფილების დეპოზიტის მიმდინარე ანგარიშზე ჩარიცხვის შესახებ, იმ პირთა აღნიშვნით, ვისი ქონებაც გაიყიდა.

56. ვაჭრობა არაშემდგარად ცნობილ იქნება:

ა) უკეთუ ვაჭრობისათვის არავინ გამოცხადდა ან გამოცხადდა მხოლოდ ერთი პირი;

ბ) უკეთუ ქონების შეფასებას გამოცხადებულთა შორის არავინ არა წაუმატა-რა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) უკეთუ ვაჭრობის დამთავრებისას მყიდველმა სრულად არ გადაიხადა თავის ხვედრი თანხა.

57. უკეთუ ვაჭრობა არ შესდგა, აწერილი ქონება დარჩება სათანადო საფინანსო ორგანოს და მის რეალიზაციას იგი მოახდენს ყოველი შესაძლებელი კანონიერი საშუალებით ერთი თვის ვადაზე ვაჭრობის შემდეგ; ამასთანავე, რეალიზაციით მიღებული თანხა განაწილდება ამა წესების 52 მუხლში აღნიშნული წესით.

58. აწერილი ქონების გასაყიდად მეორე ვაჭრობა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც გარკვეული ნიშნებია იმისა, რომ მეორე ვაჭრობისაგან მოსალოდნელია უფრო უკეთესი შედეგი, ვიდრე ქონების სამეურნეო წესით რეალიზაციისაგან.

59. მეორე ვაჭრობა დაინიშნება პირველი ვაჭრობის შემდეგ არა უადრეს ერთი კვირისა და არა უგვიანეს ორი კვირისა; ამასთანავე, მეორე ვაჭრობა, თუ საჭირო იქნება, შეიძლება დაინიშნოს სხვა ადგილას.

60. მეორე ვაჭრობა მოხდება იმავე წესით, როგორც პირველი ვაჭრობა, ხოლო იმ განსხვავებით, რომ ვაჭრობა დაიწყება ამ (მეორე) ვაჭრობაზე შეძლეული პირველი თანხით და იგი შემდგარად ჩაითვლება, თუნდაც ამ ვაჭრობაზე შეძლეული უდიდესი თანხა ქონების შეფასებაზე ნაკლები იყოს.

61. უკეთუ ვაჭრობაზე შენობა დარჩა გაუყიდველი, მას საფინანსო განყოფილება გადასცემს აღმასრულებელი კომიტეტის ადგილობრივი მეურნეობის განყოფილებას სათანადო აქტით; ადგილობრივი მეურნეობის განყოფილება აუნაზღაურებს მას გადაცემული ქონების ღირებულობას აღნიშნულ განყოფილებათა შეთანხმებით განსაზღვრული შეფასების თანახმად; უკეთუ შეთანხმება მიღწეულ ვერ იქნა, შეფასების საკითხს გადასწყვეტს სათანადო აღმასრულებელი კომიტეტი.

62. ქონების გაყიდვით გადაუხდელი ნარჩენი მოიხსნება ანგარიშიდან გადასახადთა გადახდევინების დებულების 40 და 42 მუხლების წესისამებრ, უკეთუ ამა წესების 57 მუხლში აღნიშნული ვადის გასვლამდე მენარჩენეს არ აღმოაჩნდება სხვა ქონება ან სახსარი, რაზედაც შეიძლება მიიქცეს გადაუხდელი ნარჩენის გადახდევინება; ხოლო, უკეთუ აღმოჩნდა სხვა ქონება ან სახსარი, გადაუხდელი ნარჩენი გადახდევინებულ იქნება არსებული წესისამებრ.

63. იმ ნარჩენის საურავი და პროცენტი, რომელიც დაფარულ უნდა იქნეს ქონების საჯარო ვაჭრობაზე გაყიდვით ან სამეურნეო წესისამებრ რეალიზაციით, დაირიცხება მენარჩენის ქონების გაყიდვის დღემდე, ხოლო არა უხანგრძლივეს ორი თვის ვადისა ქონების აწერის შემდეგ.

შენიშვნა. უკეთუ სასამართლო ორგანოში შეტანილ იქნა საჩივარი აწერილობის არაკანონიერად შედგენის თაობაზე და ამ საჩივრის შედეგად სასამართლოს განკარგულებით ქონების გაყიდვა შეჩერდა, ხოლო შემდეგ საჩივარი დაკმაყოფილებულ არ იქნა, საურავი დაირიცხება მენარჩენის ქონების გაყიდვის დღემდე, მაგრამ არა უხანგრძლივეს ორი თვის ვადისა აწერილობის შედგენის დღიდან იმ დროის დამატებით, რომლის განმავლობაშიაც, სასამართლოს განკარგულების გამო, ქონების გაყიდვა არ შეიძლებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

64. მენარჩენის მოთხოვნით მას უნდა მიეცეს სავაჭრო ფურცლის ასლი.

65. საჩივარი საფინანსო ორგანოებისა და თანამდებობის პირების მოქმედებასა და განკარგულებაზე ქონების აწერისა, შეკვრისა და გაყიდვის დროს—შეიძლება შეტანილ იქნეს გადასახადების გადახდევინების—1925 წ. ოქტომბრის 2-ის—დებულების 32 და 33 მუხლების წესისამებრ. საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს ქონების აწერას, შეკვრას და გაყიდვას, უკეთუ ამის შესახებ განკარგულება არ მოახდინა ამ ორგანომ, სადაც შეტანილია საჩივარი.

დადგენილება № 200 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

3. ნედლეული ბამბის თავის დროზე მოკრეფისა, დამზადებისა და ბამბის საწმენდ ქარხნებში მიზიდვისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

აღინიშნოს რომ აქამდე ა/კსფსრ-ში ბამბის მოკრეფა დამთავრებული არ არის და დამზადებათა გეგმის შესრულება მეტისმეტად მძიმე ტემპით მიმდინარეობს, განსაკუთრებით აზერბაიჯანის სსრ-ში. შენიშნულია მინდვრებზე ბამბის მოკრეფის დაგვიანება, ავანსების სუსტად შემოსვლა და აგრეთვე ნედლეული ბამბის საწმენდ ქარხნებში დაგვიანებით მიზიდვა.

ბამის დამზადებათა გეგმის სასწრაფო და სრული რეალიზაციისათვის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო წინადადებას აძლევს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, საოლქო და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და აგრეთვე დამმზადებულ სახელმწიფო, სავაჭრო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს იხმარონ სასწრაფო ღონისძიებანი, რათა უახლოეს დღეებში მიღწეულ იქნეს გადამწყვეტი გარდატეხა ბამბის მოკრეფის ორგანიზაციის საქმეში, რისთვისაც გაძლიერებულ უნდა იქნეს ამ სფეროში ყველა საბჭოთა, სამეურნეო და კოოპერატიული ორგანოს მუშაობა და ფართო კამპანია ღარიბ და საშუალო გლეხთა მასსების ორგანიზაციისათვის კულაკებასთან საბრძოლველად.

ამ მიზნით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

1. დააკისრონ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და სასოფლო საბჭოებს, მათ თავმჯდომარეთა პერსონალური პასუხისმგებლობით, დაამყარონ ყველა იმ რაიონში, სადაც ნედლეული ბამბის მოკრეფა ჯერ დამთავრებული არ არის, მტკიცე ზედამხედველობა მინდვრებისათვის, მიიღონ ყოველი ღონისძიება, რათა არავითარ შემთხვევაში საქონლის მიშვებით მინდვრები წახდენილ არ იქნეს და პასუხისგებაში მისცენ ყველა ის, ვინც საქონლს შეუშვებს ბამბის ნათესებში.

2. მოაწყონ პასუხისმგებელი სამეულები ბამბის მოკრეფისა და დამზადებისათვის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა თავმჯდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარეობით—რაიონებში და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეთა თავმჯდომარეობით—სოფლებში. ამ სამეულთა მიზანს შედგენს მოაწყონ მთესველთა შემოვლა, გამოარკვიონ მოკრეფილი, ხოლო ჯერ ჩაუბარებელი ბამბის მარაგი და მოაწყონ ამ ბამბის მიმღებ პუნქტებზე მიზიდვა.

3. წინადადება მისცენ ყველა კოოპერატიულ ამხანაგობას, რათა იმ მეურნეობათა ნაცვლად, რომლებიც თავს არიდებენ ბამბის მოკრეფას, თვით მოაწყონ ეს მოკრეფა მოკრეფილი ბამბის ღირაბულობის ანგარიშზე, რისთვისაც საქმეში ჩაიბან ადგილობრივი აქტივი და ამბოკართა და ღარიბ გლეხთა მასსები.

4. რათა წაბალისებულ იქნეს დაბალი ხარისხიანი ბამბის მთლად მოკრეფა და კოოპერაციის მიმღებ პუნქტებზე მიზიდვა, წინადადება მისცენ მებამბეობის კოოპერაციის რესპუბლიკანურ ცენტრებს ასწიონ ფასები ნედლეული ბამბის მეორე და მესამე ხარისხზე საშუალო ფასებზე ეკონომიის გაწევით.

5. იმ მთესველთა მიმართ,—განსაკუთრებით კულაკთაგან და შეძლებულ ფენებთაგან,—რომელთაც მთლად მოკრეფეს ბამბა, ხოლო მიმღებ პუნქტებს კი არ ჩაუბარეს, მიღებულ იქნეს ღონისძიებანი მოკრეფილი ბამბის იძულებით ჩამორთმევისა და პუნქტებზე მიზიდვისათვის ნედლეულის პატრონის ხარჯით.

6. ბოროტი განზრახვით მომქმედ მთესველთა მიმართ, რომელთაც არ შეასრულეს თესვის ხელშეკრულებანი და მიღებული ავანსები და ფულადი სახსარი სხვა მიზნისათვის გამოიყენეს, დაუყოვნებლივ მიღებულ იქნეს ღონისძიებანი აღნიშნული ავანსებისა და დასათესი თესლის დასაბრუნებლად. რათა მოსპობილ იქნეს მთესველთა არაკეთილსინდისიერი მოქმედება საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების აღსრულების საქმეში,—სასწრაფო წესით ჩატარებულ იქნეს მთელ რიგ რაიონებში საჩვენებელი პროცესები არაპირიან კულაკურ და შეძლებულ მეურნეობათა შესახებ.

7. წინადადება მისცენ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს (სადაირო აღმ. კომიტ.), აგრეთვე სასოფლო საბჭოებს უზრუნველჰყონ, რათა უსაქონლო ღარიბ და საშუალო მეურნეობის ნედლეული ბამბა თავის დროზე და აუცილებლად მიზიდულ იქნეს კოოპერატიულ მიმღებ პუნქტებზე და აგრეთვე ამ პუნქტებიდან ბამბის ქარხნებში, რისთვისაც, უკეთუ საჭირო იქნება, არ უნდა მოერიდნენ სოფლის კულაკური და შეძლებული მეურნეობის სატრანსპორტო საშუალებათა მობილიზაციას არსებული სასყიდლის გადახდით საქონლის პატრონის ხარჯზე.

8. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს:

ა) სამი დღის ვადაზე აცნობოს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, სამომხმარებლო კოოპერაციის რესპუბლიკანურ და საოლქო ცენტრებს და აგრეთვე მებამბეობის კოოპერაციის ზედმიწევნითი განაწილება პურისა და სამრეწველო საქონლისა, რაც გაცემულ უნდა იქნეს მიზნობრივი დანიშნულებით ბამბის მთესველთათვის;

ბ) ამჟამად მომქმედი ოცდაექვსდღიანი ვადა, რომლის მიხედვითაც ბამბის მთესველს შეუძლიან გადააცილოს თავისი ხვედრი სამრეწველო საქონლისა და პურის მიღება, მიმდინარე კამპანიის განმავლობაში განგრძობილ იქნეს ორ თვემდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. წინადადება მიეცეს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, პირველ რიგში აზერბაიჯანის სსრ-ისას:

ა) დაავალონ—სამი დღის ვადაზე ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისაგან განაწილების მიღების დღიდან—შეამოწმონ სამრეწველო საქონლისა და პურის მიზნობრივი გამოყენება და, უკეთუ აღმოჩნდება მიზნობრივი დანიშნულების დარღვევა, დაჰფარონ ბამბის მთესველთათვის დანიშნული ფონდების ხარჯი ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოებისა და მებამბეობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ყველა სხვა ფონდიდან;

ბ) უკეთუ ადგილობრივი კოოპერატიული ორგანიზაციები ბამბის მთესველთათვის დანიშნულ პურსა და სამრეწველო საქონელს ხარჯავენ არაპირდაპირი დანიშნულებისამგრ, სასწრაფო წესით მოაწყონ საჩვენებელი პროცესები;

გ) შეამოწმონ განსაკუთრებული ყურადღებით, აღწევს თუ არა ღარიბ და საშუალო სამებამბეო მეურნეობამდე ყველა ის ღონისძიება სამეურნეო დახმარებისა, რაც მიღებულია ა/კსფსრ საბჭოთა ხალისუფლების ორგანების მიერ ა/კსფსრ მებამბეობის განვითარების ხუთწლიან გეგმასთან და წინამდებარე საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმასთან დაკავშირებით, და ფართო პოპულიარიზაციის საგნად გახადონ ეს ღონისძიებანი ღარიბ და საშუალო მებამბეთა დახმარებისა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა
მმართველის მოადგილე **ა. ბომბინი.**

1930 წ. იანვრის 5.

ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს მე-5 №-ში 1930 წ. იანვრის 7-ს.

დადგენილება № 201 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

4. სასოფლო ცეცხლ-სეისმო-მძლე მშენებლობის დაკრედიტების ფონდების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ-ში სასოფლო ცეცხლ-სეისმო-მძლე მშენებლობის განვითარებისათვის ხელის შესაწყობად დაარსებულ იქნეს, დაწყებული 1929-30 წლიდან, შემდეგი ფონდები:

ა) ამიერკავკასიის ფონდი—ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკთან;

ბ) რესპუბლიკანური ფონდები—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სასოფლო-სამეურნეო ბანკებთან და ავტონომიური რესპუბლიკების საკრედიტო კავშირებთან იქ, სადაც სასოფლო-სამეურნეო ბანკები არ არსებობს.

2. ამიერკავკასიის ფონდს შეადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. უკუდაუბრუნებელი ხასიათის შენატანი:

ა) ამიერკავკასიის ბიუჯეტით გადადებული ყოველწლიური ასიგნება;

ბ) ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის მოგების ყოველწლიური ათპროცენტიანი ანარიცხი;

გ) სახელმწიფო დაზღვევის დებულების მე-60 მუხლის წესისამებრ ამიერკავკასიის მთავრობის განკარგულებაში გადასაცემი სახელმწიფო დაზღვევის მოგების ყოველწლიური ანარიცხის ნაწილი, რასაც ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო გამოჰყოფს ცეცხლ-სეისმო-მძლე მშენებლობისათვის;

დ) სამომხმარებლო და სარეწაო კოოპერაციის ამიერკავკასიის ცენტრების მოგების ყოველწლიური ხუთპროცენტიანი ანარიცხი;

ე) სხვა იმ წყაროების შემოსავალი, რაც შეიძლება დაწესებულ იქნეს ამიერკავკასიის მთავრობის განსაკუთრებული საამისო დადგენილებებით.

ბ. დასაბრუნებელი ხასიათის შენატანი:

გრძელვადიანი სესხი, რასაც ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო ბანკი გასცემს აღნიშნულ ბანკთან არსებული სასოფლო ცეცხლ-სეისმო-მძლე მშენებლობის საერთო-საკავშირო ფონდიდან, და სხვა წყაროებიდან მიღებული სესხი.

3. მე-2 მუხლით გათვალისწინებულ მოგების ანარიცხებს სათანადო დაწესებულებანი შეიტანენ ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის ფონდში არა უგვიანეს ორი კვირისა მათი ბალანსების დამტკიცების დღიდან, დაწყებული 1928-29 წ. ბალანსით.

შენიშვნა. ის დაწესებულება, რომლის ანგარიშიც ჯერ კიდევ დამტკიცებული არ არის სამი თვის გასვლისას საანგარიშო წლის დამთავრერების შემდეგ, შეიტანს ავანსად თავისი ხვედრი გადასახდელის ორმოცდაათ პროცენტს იმ თანხის მიხედვით, რაც განსაზღვრულია წინასწარი ანგარიშით.

4. ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკი თანხებს აღნიშნული ფონდიდან გასცემს გრძელვადიანი სესხის სახით რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკებზე ან მათ მენაცვლე საკრედიტო კავშირებზე სასოფლო ცეცხლ-სეისმო-მძლე მშენებლობის ადგილობრივი ფონდების გასაძლიერებლად, იმ პირობით, რომ ყველა სახსარი ამ ფონდებიდან წარიმართოს ცეცხლ-სეისმო-მძლე მასალების წარმოებისა, ცეცხლ-სეისმო-მძლე შენობების აგებისა და აღდგენისა და სხვა არსებული შენობების ცეცხლ-სეისმო-მძლე შენობებად გადაკეთების საქმის დაკრედიტებისათვის.

5. სესხი გაიცემა იმ პირობით, უკეთუ მსესხებელი დააბანდებს ცეცხლ-სეისმო-მძლე მშენებლობაში თავის საკუთარ სახსარს არა ნაკლებ, ვიდრე ამ მშენებლობის ღირებულობის ოცდახუთმეტი პროცენტის რაოდენობით.

6. სესხი მიეცემათ მხოლოდ მიწათმოწყობილ კოლექტიურ მეურნეობათა, პირველ რიგში—დიდროვან მეურნეობათა—კოოპერატიულ საწარმოო შენართთა, ცეცხლ-სეისმო-მძლე საშენებლო ამხანაგობათა ან არტელთა და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობათა.

7. ცეცხლ-სეისმო-მძლე საშენი მასალის წარმოებისათვის სესხი მიეცემა სპეციალურ ცეცხლ-სეისმო-მძლე მშენებლობის ამხანაგობებს ან არტელებს და სხვა სათანადო კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და სახელმწიფო ორგანიზაციებს ვადით არა უმეტეს ხუთი წლისა.

სესხი ცეცხლ-სეისმო-მძლე შენობების ასაგებად მიეცემა: კოლექტიურ მეურნეობებს ვადით ოცდაათ წლამდე, საწარმოო შენაერთებს—ოც წლამდე, სხვა შენაერთებსა და ინდივიდუალურ ღარიბ მეურნეობებს—ხუთმეტ წლამდე და ინდივიდუალურ საშუალო მეურნეობებს—ათ წლამდე.

8. სესხის გადახდა დაიწყება შენაერთებისა და ღარიბ მეურნეობებისათვის არა უადრეს სამი წლის გასვლისა სესხის მიღების დღიდან, ხოლო ინდივიდუალური საშუალო მეურნეობებისათვის—ერა უადრეს ორი წლისა.

9. სასოფლო ცეცხლ-სეისმო-მძლე მშენებლობის ფონდიდან გაცემული სესხი უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მთლად იმ ქონებით, სხვათა შორის შენობებითაც, რაც შეძენილი და აგებულია ფონდის სახსრით; ეს ქონება და შენობები მიეცემა სესხის გამცემ საკრედიტო დაწესებულებას გირაოდ; ამასთანავე, კოლექტიური მეურნეობის ან სასოფლო ცეცხლ-სეისმო-მძლე მშენებლობის ამხანაგობის მიერ ფონდის სახსარით აგებული შენობა არ გამოიყოფა ცალკეული წევრებისათვის, არც გაიყოფა მათ შორის.

10. სესხის სარგებელი საბოლოო მსესხებელთათვის არ უნდა აღემატებოდეს: კოლექტიური მეურნეობისათვის ორ პროცენტს წლიურად, ინდივიდუალური ღარიბი მეურნეობისათვის—სამ პროცენტს და მსესხებელთა სხვა კატეგორიებისათვის—ოთხს პროცენტს.

11. სასოფლო ცეცხლ-სეისმო-მძლე მშენებლობის დაკრედიტების ამიერკავკასიის ფონდის ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს მხოლოდ ამიერკავკასიის მთავრობის განსაკუთრებული დადგენილებით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. მახტაძე.**

1930 წ. იანვრის 5.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს მე-13 №-ში 1930 წ. იანვრის 16-ს.

დადგენილება № 202 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

5. სამუშე ბინათმშენებლობის კოოპერაციის მოწესრიგების შესახებ.

„საბინაო მშენებლობაში მეაღნაგეთა ცალკე კატეგორიების საკუთარი სახსარით საწილადო მონაწილეობის შესახებ" გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. მარტის 8-ის დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-8 №-ი, მუხ. 71) 1-ლი, მე-2 და 3 მუხლების გასაუქმებლად — ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს სამუშე ბინათმშენებლობის კოოპერატიულ ამხანაგობათათვის საკუთარი საპაიო სახსარის დაბანდებათა შემდეგი ნორმები, რაც სავალდებულოა ამ კოოპერატივების მიერ კომუნალური მეურნეობისა და ბინათმშენებლობის ცენტრალური ბანკიდან კრედიტებისა და მუშათა ბინების მშენებლობის ხელისშემწყობ ღონისძიებათა დებულების (სსრკ კან. კრ. 1929 წ. მე-9 №-ი, მუხ. 84) 1-ლი მუხლით გათვალისწინებული სხვა სპეციალური კაპიტალების მიღების დროს:

ა) საბინაო-სამშენებლო კოოპერატიული ამხანაგობისათვის—ამ კოოპერატივის წევრთა საშუალო სამუშაო ხელფასზე ას მანეთამდე თვეში—ხუთი პროცენტი ასაშენებელი საცხოვრებელი სივრცის სამშენებლო ღირებულებისა;

ბ) 100 მან. მეტი 150 მანეთამდე—შვიდი პროცენტი;

გ) 150 მან. მეტი 200 მანეთამდე—ათი პროცენტი;

დ) 200 მან. მეტი 250 მანეთამდე—თორმეტი პროცენტი;

ე) ორას ორმოცდაათ მანეთზე მეტი—სათანადო საბინაო კოოპერაციის კავშირისა და საკრედიტო ორგანოს შეთანხმებით, ხოლო არა ნაკლებ იმ ნორმებისა, რაც დაწესებულია ისეთი ჯგუფისათვის, რომელსაც საშუალო სამუშაო საშოვარი აქვს ორასიდან ორას ორმოცდაათ მანეთამდე.

შენიშვნა 1. მშენებლობის ღირებულობა განისაზღვრება 1 კუბიკური მეტრი საცხოვრებელი სივრცის აშენების ღირებულობის ლიმიტების მიხედვით, რა ლიმიტებიც დაწესებულ იქნება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებით; ამასთანავე, კოოპერატივის მიერ აგებული შენობის ფაქტიური ღირებულობა გავლენას ვერ იქონიებს წინასწარ სავალდებულო საპაიო დანაგროვთა ზემოაღნიშნულ ნორმებზე.

შენიშვნა 2. საბინაო-სამშენებლო კოოპერატიული ამხანაგობის წევრების საშუალო თვიური სამუშაო საშოვარი განისაზღვრება:

ა) ბანკის მიერ დაფინანსების ხელშეკრულების დადების დროს—კოოპერატივის წევრთა საშუალო სამუშაო ხელფასის საფუძველზე;

ბ) სესხის თაობაზე საბოლოო ხელშეკრულების დადების დროს—კოოპერატივის ჩასასახლებელ წევრთა საშუალო სამუშაო სიშოვრის საფუძველზე.

2. კოოპერატივის თვითეული წევრი შეიტანს იმ პერიოდის განმავლობაში, ვიდრე საცხოვრებელი სივრცე მიეცემოდეს, წინასწარ საპაიო გადასახადს თვიური სამუშაო საშოვრის მიხედვით, ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული ნორმების თანახმად.

3. უკეთუ უწყვეტული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის შედგენილობაში მუშების პროცენტი წევრთა საერთო რიცხვის ორმოცდაათ პროცენტზე ნაკლებია, 1-ლ მუხლში აღნიშნული ნორმები გადიდდება ოცდაათი პროცენტით.

შენიშვნა. საბინაო კავშირებს უფლება აქვთ დაწესონ ცალკეული კოოპერატივებისათვის, მათი სოციალური შედგენილობის მიხედვით, უფრო მცირე გადიდება ნორმებისა, იმ პირობით-კი, რომ ეს გადიდება ხუთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტ პროცენტზე ნაკლები არ იყოს; ამასთანავე, თვითეული წევრის წინასწარი დანაგროვის ნორმა გადიდდება იმავე პროცენტით,როგორც მთელი კოოპერატივისათვის.

4. უკეთუ კოოპერატივის წევრების საპაიო გადასახადების თანხები, რასაც ისინი აღნიშნული ნორმებით იხდიან, აღემატება ამ კოოპერატივისათვის სავალდებულო საპაიო სახსართა რაოდენობას, რაც მშენებლობაში უნდა იქნეს დაბანდებული, კოოპერატივის ცალკეული წევრისათვის, რომელსაც 100 მან. ნაკლები სამუშაო ხელფასი აქვს, საპაიო დანაგროვის ნორმა შეიძლება შემცირებულ იქნეს კოოპერატივის წევრთა საერთო კრების დადგენილებით, იმ პირობით-კი, რომ თვითეული წევრის საპაიო დანაგროვი შემცირებულ არ იქნეს მისთვის მისაჩენი საცხოვრებელი სივრცის სამშენებლო ღირებულების ოთხ პროცენტზე მეტად.

უკეთუ კოოპერატივის წევრების საპაიო გადასახადების თანხები, რასაც ისინი აღნიშნული ნორმებით იხდიან, ვერ აღწევს კოოპერატივისათვის სავალდებულო საპაიო სახსართა რაოდენობას, რაც, ამა დადგენილების 1-ლი მუხლის თანახმად, მშენებლობაში უნდა იქნეს დაბანდებული, თვითეული წევრის დანაგროვის ნორმა პროპორციულად გადიდებულ უნდა იქნეს.

5. საბინაო კავშირები და ადგილობრივი საბჭოები, საბინაო მშენებლობის დაკრედიტების გეგმის შედგენის დროს, გაითვალისწინებენ, რომ საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობათ, სადაც წევრთა შედგენილობაში უპირატესად (ორმოცდაათი პროცენტი და მეტიც) მუშები არიან, უნდა მიეცეს არა ნაკლებ, ვიდრე ცენტრალიზებული და ადგილობრივი სახსარიდან საბინაო კოოპერაციისათვის დანიშნული კრედიტების საერთო თანხის ოთხმოცდაათი პროცენტი.

6. საბინაო-სამშენებლო კოოპერატიული ამხანაგობების ნაწილობრივი დაკრედიტების დროს საწარმოთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდებიდან, საწარმოს და სათანადო პროფესიონალური კავშირის შეთანხმებით, ორმოცდაათი პროცენტი იმ საცხოვრებელი სივრცისა, რაც აგებულია ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდის სახსარით, შეიძლება გადაიცეს აღნიშნული საწარმოს იმ მომუშავეთა საბინაო საჭიროების დასაკმაყოფილებლად, რომელთაც, კანონით, აქვთ სამუშე ბინათმშენებლობის კოოპერატიულ ამხანაგობათა წევრად ყოფნის უფლება, იმისდამიუხედავად, ირიცხებიან თუ არა ეს პირნი ჩასახლების დროს უწყებული კოოპერატივის წევრებად და შეუტანიათ თუ არა სავალდებულო საპაიო დანაგროვი; ამასთანავე, საჭიროა დაცულ იქნეს შემდეგი წესები:

ა) ამ პირების წევრად შესვლა კოოპერატივში საცხოვრებელი სივრცის მიღების მომენტისათვის;

ბ) მათ მიერ იმ საპაიო დანაგროვების დაფარვა, რაც შესატანად დაწესებულია ბინებში შესვლამდე, კოოპერატივის სხვა წევრების თანაბარი რაოდენობით და იმ ვადებზე, რაც განისაზღვრება საწარმოს და სათანადო პროფესიონალური კავშირის შეთანხმებით, ხოლო არა უხანგრძლივეს სამი წლისა ბინის მიღების დღიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცხოვრებელი სივრცის ნაწილის ასეთი პირებისათვის მიცემის შემთხვევაში პროცენტი კოოპერატივის საბალანსებულო საკუთარი სახსარის დაბანდებისა მშენებლობაში შემცირებულ უნდა იქნეს სათანადოდ.

შენიშვნა 1. იმ წევრების შეგროვილ წინასწარ საპაიო გადასახადებს, რომელთაც შეტანის ვადა განაწილებული აქვთ, დანიშნულება მიეცემა კოოპერატივისა და სათანადო პროფესიონალური კავშირის შეთანხმებით.

შენიშვნა 2. ის საცხოვრებელი სივრცე, რაც საბინაო-სამშენებლო კოოპერატიული ამხანაგობების მიერ აშენებულია საწარმოთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან გეცემული სახსარით, დასახლებულ უნდა იქნეს მარტოოდენ ამ საწარმოთა მომუშავეებით; ამასთანავე, წევრთა კატეგორიების დასახლების საერთო პრინციპები, დასახლების ვადები და ნორმები შეთანხმებულ უნდა იქნეს პროფესიონალური კავშირის ორგანოებთან.

7. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული ნორმები წინასწარი საპაიო დანაგროვისა ვრცელდება საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობათა ყველა იმ წევრზე, ვინც ელოდება საცხოვრებელი სივრცის მიღებას კოოპერატიულ სახელებში; ამასთანავე, კოოპერატივის წევრების მიერ, ამა დადგენილების საფუძველზე დადგენილი ნორმების ზედმეტად შეტანილი საპაიო გადასახადები არ უნდა იქნეს გარდაანგარიშებული და უნდა ჩაირიცხოს მათთვის აგებული საცხოვრებელი სივრცის ღირებულების დასაფარავად.

8. საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობას უფლება არა აქვს მოსთხოვოს ამა დადგენილების საფუძველზე დამატებითი წინასწარი საპაიო დანაგროვი კოოპერატიულ სახლში უკვე შესულ წევრს, რომელმაც შეიტანა საპაიო დანაგროვი სახლში შესვლამდე შეპირებული რაოდენობით, ისეთი შემთხვევის გამოკლებით, როდესაც მშენებლობაზე დახარჯულია იმ წევრთა საპაიო გადასახადების სახსარი, რომელთაც საცხოვრებელი სივრცე არ მიუღიათ.

კოოპერატივის ის წევრი, რომელიც უკვე შევიდა სახლში და რომელმაც არ შეასრულა კოპერატივის წინაშე ნაკისრები ვალდებულობა საკუთარი საპაიო სახსარის დაბანდების თაობაზე, მოვალეა დაადგროს შეუტანელი საპაიო გადასახადები კოოპერატივის მიერ განსაზღვრულ ვადაზე, ხოლო არა უგვიანეს ორი წლისა.

9. იმ ვადას, რომლის განმავლობაშიაც საბინაო-სამშენებლო კოოპერატიული ამხანაგობის წევრებს, საცხოვრებელი სივრცის მიღებამდე, უნდა შეჰქონდეთ საპაიო კაპიტალში გადასახადი, განსაზღვრავს თვით ამხანაგობა მშენებლობის ერთეულის ღირებულობისა და წევრის სამუშაო საშოვარის რაოდენობის მიხედვით, ხოლო, როგორც საერთო წესი, ეს ვადა სამ წელიწადს არ უნდა აღემატებოდეს.

10. საცხოვრებელ სივრცეს ცალკეულ წევრთა შორის გაანაწილებს, სამშენებლო მუშაობის დაწყებამდე, ამხანაგობის გამგეობა ამხანაგობის წევრთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრება) დამტკიცებით; ამასთანავე, ასაშენებლად ნავარაუდევი საცხოვრებელი სივრცის ათ პროცენტამდე შეიძლება დატოვებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნეს რეზერვად. საცხოვრებელი სივრცის სარეზერვო ნაწილი წევრთა შორის განაწილდება იმავე წესით სამშენებლო სამუშაოთა დამთავრების შემდეგ, ხოლო ფაქტიური ჩასახლებამდე.

ცალკეულ წევრთა შორის საცხოვრებელი სივრცის განაწილების დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს: რამდენ ხანს დაჰყო წევრმა ამხანაგობის წევრთა შედგენილობაში (კოოპერატიული სტაჟი) რამდენად მუყაითად შეჰქონდა მას საპაიო კაპიტალში, დადგენილი ნორმების შესაბამისად, გადასახადები და აგრეთვე, რამდენად საჭიროა მისთვის საცხოვრებელი სივრცე.

ამასთანავე, საცხოვრებელი სივრცე განაწილებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ წევრთა შორის, რომელთაც საცხოვრებელი სივრცის განაწილების მომენტისათვის გადახდილი ექნებათ არა ნაკლებ მათი ხვედრი წინასწარი საპაიო დანაგროვის თანხის $^2/_3$-სა, ამა დადგენილების 1-ლი მუხლის თანახმად. საცხოვრებელი სივრცის მიღების მომენტისათვის წინასწარი საპაიო გადასახადები შეტანილი უნდა ჰქონდეთ სრულად.

11. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს დაავალონ საბინაო კავშირებს:

ა) დაამთავრონ 1931 წ. იანვრის 1-თვის საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის პირველადი ქსელის რაციონალიზაცია (წვრილ კოოპერატივთა გადიდრონება და უმიქმედოთა ლიკვიდაცია);

ბ) გაადიდონ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა რიცხვი ისეთი ხაზით, რომ უპირატესად ჩაბმულ იქნენ მუშები, რათა მათმა რიცხვმა მიაღწიოს არა ნაკლებ, ვიდრე უწყებული რაიონის სამუშე ბინათმშენებლობის კოოპერატიულ ამხანაგობათა წევრების შედგენილობის სამოცდაათ პროცენტამდე;

გ) შეადგინონ სამი თვის ვადაზე მომქმედ სამუშე ბინათმშენებლობის კოოპერატიულ ამხანაგობათა სია და მათი მოქმედების განვითარების გეგმა, აგრეთვე მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარების რაიონებში ახალ სამუშე ბინათმშენებლობის კოოპერატიულ ამხანაგობათა ორგანიზაციის გეგმა.

ამ გეგმებში გათვალისწინებულ უნდა იქნეს წევრთა მასსების ზრდისა და კოოპერატიული ბინათმშენებლობის ზრდის შეთანხმება, ისეთი ვარაუდით, რათა მიღწეულ იქნეს იმ წევრთა პროცენტის თანდათანობითი გადიდება, ვინც დაკმაყოფილებულ იქნება საბინაო სივრცით.

12. ამა დადგენილებით დაწესებული, საბინაო მშენებლობაში დასაბანდებელი წინასწარი საკუთარი საპაიო სახსარის ნორმები არა ვრცელდება იმ საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობებზე, რომელთაც უკვე დადებული აქვთ სესხზე ხელშეკრულებები და აგრეთვე კოოპერატივების იმ წევრებზე, რომელნიც იღებენ საცხოვრებელ სივრცეს ისეთ მშენებლობიდან, რაც სწარმოებს უკვე ხელშეკრულებებით შეპირებული სესხის ანგარიშზე. ასეთ შემთხვევაში კოოპერატივები შეიტანენ სესხის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ საპაიო სახსარს, ხოლო კოოპერატივის წევრები—საპაიო გადასახადებს სათანადო საბინაო ამხანაგობის მიერ დადგენილი რაოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. ამა დადგენილებით საბინაო კოოპერატივებისა და მათი წევრებისათვის დაწესებული სპაიო დანაგროვის ნორმები ვრცელდება მთლად იმ საბინაო მშენებლობის მოცულობაზე, რაც დაწყებულია 1928-29 წელს ორ-სეზონიანი მშენებლობის წესისამებრ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1930 წ. იანვრის 5.
ტფილისი-სასახლე.

დადგენილება № 203 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

6. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საწარმოთა შვიდსაათიან სამუშაო დღეზე გადამყვანი კომისიის შედგენილობის შეცვლის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-2 №-ი, მუხ. 17) შესაცვლელად—დამტკიცებულ იქნეს შემდეგი შედგენილობა საწარმოთა შვიდსაათიან სამუშაო დღეზე გადაყვანისათვის არსებული მთავრობის კომისიისა:

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისაგან—ამხ. რაჰიმოვი (თავმჯდომარე);

ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსაგან—ამხ. კუზნეცოვი.

ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსაგან—ამხ. ყურულოვი (ამხ. პარუშინის შენაცვლებით).

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
სამეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1930 წ. იანვრის 8.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია კოსტოკა"-ს მე-13 №-ში 1930 წ. იანვრის 16-ს.

შეცდომის გასწორება.

ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ.	**დაბეჭდილია**	**უნდა იყოს**
მე-20 №-ის 194 მუხ., პ. 13.	რვა საცდელი სამეტყევეო	შვიდი საცდელ. სამეტყევეო.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა
მთავლიტი № 603 დაიბეჭდა 850